ავტობიოგრაფია

მე, დიმიტრი გვრიტიშვილი, დავიბადე 1980 წლის 16 ოქტომბერს, დუშეთში, მშენებლის (მამა: [redacted]) და მედდის (დედა: [redacted]) ოჯახში. მყავს მეუღლე - [redacted] და 3 შვილი: [redacted]

საშუალო განათლება მივიღე თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლაში. საბოლოოდ, 1998 წელს წარჩინებით დავასრულე 36-ე საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დავასრულე 2003 წელს.

2003-2005 წლებში ვახორციელებდი საადვოკატო საქმიანობას; 2005-2008 წლებში ვმუშაობდი თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურში, ჯერ მთავარ სპეციალისტად, შემდეგ კი - სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსად.

სასამართლო სისტემაში მუშაობა დავიწყე 2008 წელს და ვმუშაობ დღემდე, კერძოდ: 2008 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით - ვასრულებდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მოვალეობას; 2008 წლის ნოემბრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ; 2012 წლის ოქტომბრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება განვაგრძე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, სადაც ასევე დავინიშნე აღნიშნული პალატის თავმჯდომარედ; ხოლო 2017-2020 წლებში ვიყავი იმავე სასამართლოს თავმჯდომარეც; 2020 წლის აგვისტოდან სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება განვაგრძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, სადაც ასევე დანიშნული ვარ აღნიშნული პალატის თავმჯდომარედ. 2017-2021 წლებში ვიყავი, ასევე - 2022 წლიდან დღემდე ჩემი კოლეგების მიერ არჩეული ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; 2021-2022 წლებში ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2023 წლის მაისიდან - ვარ იმავე საბჭოს წევრი.

ვახორციელებ პედაგოგიურ საქმიანობას: 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტებისათვის წავუძეხი სალექციო კურსს „ადმინისტრაციული პროცესი; ასევე - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელებისათვის, მოსამართლეებისათვის და სასამართლოს მოხელეთათვის ყოველწლიურად ვუძღვები სალექციო კურსებს კონსტიტუციურ სამართალში, საგადასახადო სამართალში და სამოსამართლო ეთიკაში.

ყოველი აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ვარ უზომოდ მოტივირებული, ჩემი კეთილსინდისიერებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, მაქსიმალურად ეფექტიანად განვახორციელო მართლმსაჯულება საქართველოს საერთო სასამართლოების ნებისმიერ ინსტანციაში.